№2626 2015 წლის 9 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

სამთო-სათხილამურო კურორტებზე 2015-2016 წლების ზამთრის სეზონის გახსნასთან დაკავშირებული საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოუყოს 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარი, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ კაპიტალის გაზრდის მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**